

გიორგი ჩაჩხიანი¹**COVID 19-ის საწინააღმდეგო სავალდებულო ვაქცინაციის დაწესების ლეგიტიმურობა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის კრილში****აბსტრაქტი**

სტატიის ფარგლებში ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის პერსპექტივიდან განხილულია COVID 19-ის საწინააღმდეგო სავალდებულო ვაქცინაციის დაწესების ლეგიტიმურობის საკითხი. ნაშრომში გაანალიზებულია ის, თუ რას ნიშნავს თავად სავალდებულო ვაქცინაცია, რა შედეგები შეიძლება გამოიწვიოს დაუმორჩილებლობამ, როგორია მიმდინარე სახელმწიფოებრივი პრაქტიკა და ეროვნული პოლიტიკების ძირითადი ტენდენციები. სტატიაში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია COVID-19-ის სავალდებულო ვაქცინაციის დაწესების შემთხვევაში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) მიერ განსაზღვრულ პრინციპებზე, რომელიც მჭიდროდ ემყარება აუცილებლობისა და პროპორციულობის სამართლებრივ ელემენტებს. ასევე გაანალიზებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა, ბიოეთიკისა და ადამიანის უფლებების შესახებ დეკლარაცია და ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ ოვიედოს კონვენცია, განხილულია საქართველოს საკანონმდებლო მოწესრიგება და განსაზღვრულია ის კონკრეტული კრიტერიუმები, რომლებიც სავალდებულო ვაქცინაციის დაწესების შესახებ გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტის მიერ უნდა იქნეს დაცული და გათვალისწინებული.

საკვანძო სიტყვები: COVID 19, სავალდებულო ვაქცინაცია, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია, ეთიკური პორცესები.

Abstract

The article discusses the legitimacy of mandatory vaccination against COVID-19 from the perspective of international human rights law. The paper analyzes the concept of mandatory vaccination, the consequences of non-compliance, as well as the current state practice and tendencies of national policies. The article focuses on the principles defined by the World Health Organization (WHO) in the case of mandatory vaccination for COVID-19, which closely adheres to the legal elements of necessity and proportionality. The article also analyzes the practice of the European Court of Human Rights and the Supreme Court of the United States of America, the Universal Declaration on Bioethics, and Human Rights and the Oviedo Convention on Human Rights and Biomedicine. In addition, the current legal framework of Georgia is discussed along with the specific criteria that must be followed and considered by the decision-making authorities on these matters.

Keywords: COVID 19, mandatory vaccination, World Health Organization, ethical processes.

¹ თსუ იურუდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამის მე-2 კურსის სტუდენტი. ელ. ფოსტა: Giorgi.Chachkhiani704@law.tsu.edu.ge.

შესავალი

2020 წლის 11 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ COVID-19 პანდემიის დაწყება გამოაცხადა. COVID-19-ის მიერ მილიონობით ადამიანის ინფიცირებამ და გარდაცვალებამ, აქტიური დებატის საგანი გახდა სავალდებულო ვაქცინაციის დაწესება, რასაც მალევე გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგეები. ფარმაცევტული კომპანიების მიმართ უნდობლობა, რელიგიური შეხედულებები, თუ სხვა COVID-19-ის ვაქცინების მიმართ წინააღმდეგობრივი მოძრაობების დასაბამად იქცა. რამდენად გამართლებულია ადამიანის უფლებათა

1. რას ნიშნავს სავალდებულო ვაქცინაცია

სახელმწიფოების მიერ სავალდებულო ვაქცინაციის მოთხოვნის დაწესება COVID-19-ის პანდემიის შედეგებს სულაც არ უკავშირდება. არაერთი სახელმწიფო გლობალურად აწესებს ვაქცინაციის ვალდებულებას ბავშვებისთვის, რისთვისაც ხშირ შემთხვევაში გამოყენებულია ისეთი მარეგულირებელი ინსტრუმენტებია, როგორებიცაა სკოლაში შესვლისათვის დაწესებული მოთხოვნები, ფინანსური წახალისებები და ფინანსური სანქციები. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ 2019 წლის მონაცემებით, ევროპის 17 ქვეყანა ახორციელებდა სავალდებულო ვაქცინაციის პოლიტიკას ზრდასრულებისთვის.² საინტერესოა, რას ნიშნავს სავალდებულო ვაქცინაცია და რა ხდება მაშინ, როცა პირი არ ასრულებს დაწესებულ ვალდებულებას?

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სახელმძღვანელო დოკუმენტის „COVID-19 და სავალდებულო ვაქცინაცია: ეთიკური მოსაზრებები და გაფრთხილებები“ მიხედვით, სავალდებულო ვაქცინაციის თანამედროვე ფორმები, ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ვაქცინაციის იძულებას იწვევს პირდაპირი ან

საერთაშორისო სამართლის კრილში COVID-19-ის საწინააღმდეგო სავალდებულო ვაქცინაციის დაწესება და რა წინაპირობები არსებობს ამისთვის? სტატიის მიზანია, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ხელშეკრულებების და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ანალიზით, პასუხი გასცეს მოცემულ კითხვას და შეაფასოს როგორც სავალდებულო ვაქცინაციისა და დაუმორჩილებლობის სამართლებრივი შედეგები და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის შემუშავებული კრიტერიუმები, ისე - სახელმწიფოებრივი პრაქტიკა.

არაპირდაპირი შეზღუდვების დაწესებით, თუმცა მოიცავს გარკვეულ გამოწვევებს (მაგ., სამედიცინო უკუჩვენებები). ამავე დოკუმენტის მიხედვით, მიუხედავად თავისი სახელისა, გამართლებული „სავალდებულო ვაქცინაცია“ არ არის სრულად სავალდებულო, რაც ნიშნავს იმას, რომ ვაქცინაციაზე უარის თქმის შემთხვევაში ძალა ან სისხლისსამართლებრივი სანქცია არ იქნება გამოყენებული. ვაქცინის მიღება წარმოადგენს გარკვეულ პირობას, მაგალითად, სკოლაში, ან კონცერტზე დაშვებისთვის, ან კონკრეტულ სფეროში სამუშაოდ, მაგალითად, ჯანდაცვაში. ზოგ შემთხვევაში, შესაძლოა გამოიწვიოს დაჯარიმება.³ შესაბამისად, უმეტეს შემთხვევაში, სახელმწიფოები უფრო მეტად ირჩევენ აღსრულების არაპირდაპირ ფორმას, რაც სწორედ რომ ვაქცინაციაზე უარის თქმის შემთხვევაში გულისხმობს უარყოფითი შედეგების დადგომას და არა ვაქცინის სავალდებულო ადმინისტრირებას.⁴

სამეცნიერო წრეებში ვაქცინების მანდატები ასევე განსაზღვრულია ინტერვენციად, რომელიც აწესებს შედეგებს ვაქცინაციის განუხორციელებლობისთვის. აღნიშნული შეიძლება სხვადასხვა ფორმით იყოს გამოხატული.⁵ სახელმწიფოთა პრაქტიკისა და მიდგომების ანალიზის შედეგად, შესაძლებელია გამოიყოს რამდენიმე ძირითადი და გავრცელებული ფორმა:

² ზრდასრულთა სავალდებულო ვაქცინაციის პოლიტიკას ახორციელებს: ბელარუსი, ბელგია, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ბულგარეთი, ხორვატია, ჩეხეთი, საფრანგეთი, იტალია, მოლდოვა, მონტენეგრო, ჩრდილოეთ მაკედონია, პოლონეთი, რუსეთი, სერბეთი, სლოვაკეთი, სლოვენია და უკრაინა. სავალდებულო პოლიტიკა ძირითადად მიემართება დიფტერიის, ტეტანუსის და B ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინაციას. იხ. Cassimos DC., Effraimidou E., Medic S., Konstantinidis T., Theodoridou M., Maltezos HC., *Vaccination Programs for Adults in Europe, 2019*, 8(1):34 Vaccines 2020, 11, <<https://www.mdpi.com/2076-393X/8/1/34/html>> [ბოლოს ნანახია: 09.05.2022].

³ World Health Organization, *COVID-19 and Mandatory Vaccination: Ethical Considerations and Caveats: Policy Brief*, 13 April 2021, 1, <<https://apps.who.int/iris/handle/10665/340841>>

[ბოლოს ნანახია: 09.05.2022].

⁴ Krasser A., *Compulsory Vaccination in a Fundamental Rights Perspective: Lessons from the ECtHR*, 2:15 ICL Journal 2021, 208.

⁵ Attwell K., Rizzi M., McKenzie L., J Carlson S., Roberts L., Tomkinson S., Blyth C., *COVID-19 Vaccine Mandates: An Australian Attitudinal Study*, Vaccine 2021, 2, <<https://doi.org/10.1016/j.vaccine.2021.11.056>>

[ბოლოს ნანახია: 09.05.2022].

ადმინისტრაციული ზომების დაწესება არავაკცინირებულთათვის სახელმწიფოთა პრაქტიკაში სავალდებულო ვაქცინაციის ერთ-ერთ ძირითად ფორმად გამოიყენება. ევროპის ბევრი ქვეყანა, მათ შორის, იტალია აწესებს ჯარიმას იმ მშობლებისთვის, რომლებიც არ ახდენენ თავიანთი შვილების ვაქცინაციას,⁶ ცალკეულ შემთხვევაში, მოცემულ ადმინისტრაციულ ჯარიმებს თავისუფლების აღკვეთაში გადაზრდის პერსპექტივა აქვს. მეტიც, ქ. გრავანას, ე. ბეკერის, რ. ვალერის-ჩაცინისა და სხვათა კვლევა სავალდებულო ვაქცინაციის ეროვნული პოლიტიკებისა და დაუმორჩილებლობის შედეგების შესახებ გამოყოფს 12 ქვეყანას, რომელიც დაუყოვნებლივ აწესებს პატიმრობას.⁷

ასევე გავრცელებული ფორმაა ფინანსური სარგებლის დაკავება. აქ მოაზრებულია არავაკცინირებულთათვის ისეთი სანქციების დანერგვა, როგორებიცაა სოციალური დახმარების ან საჯარო სერვისებზე წვდომის დაყოვნება ან შეჩერება. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ფორმა ინდონეზიის მიერ COVID-19-ის ვაქცინების კონტექსტში იქნა გამოყენებული.⁸

COVID-19-ის კონტექსტში განსაკუთრებით პოპულარული იყო ე.წ. „შვანე პასპორტები“. მათი გამოყენება ხდებოდა იმ ქვეყნებშიც, სადაც სავალდებულო ვაქცინაცია არ იყო დაწესებული, მათ შორის, საქართველოში, იმ განსხვავებით, რომ ამ შემთხვევაში შესაძლებელი იყო ვაქცინაციის ალტერნატიული მეთოდებით, ტესტირებით ჩანაცვლება. „ვაქცინაციის პასპორტებსა“ და „შეკრების მანდატებში“, მაგალითად, მოაზრებულია არავაკცინირებული ბავშვების შეუძლებლობა, ჩაირიცხონ სკოლებში. COVID-19-ის კონტექსტში კი ნოვაციას წარმოადგენდა ის, რომ

საჯარო სივრცის გამონაკლისებმა გამოყენება ჰპოვა კერძო სექტორზეც, ღონისძიებების, რესტორნების სერვისების წვდომაზე და სხვა.⁹

სხვა ფორმებს შორის ასახელებენ მოგზაურობის შეზღუდვას, გარკვეული ტიპის დასაქმებისთვის დაწესებულ ვალდებულებას. ასევე განიხილავენ კერძო სექტორის მანდატებს, სადაც მოიაზრება დამსაქმებლის, ბიზნეს-კლიენტის მანდატები და სხვა. თუმცა ამ შემთხვევაშიც აღნიშნული მეტწილად ხელისუფლებაზეა დამოკიდებული, ვინაიდან ხელისუფლებას აქვს უფლება თავად აღჭურვოს, ან შეზღუდოს კერძო სექტორის მიერ მანდატების დაწესების შესაძლებლობა, გამონაკლისები და ა.შ.¹⁰ ასევე გამოიყოფა სხვა ტიპის სანქციებიც, მაგალითად, ზემოთ ხსენებული გრავანას, ბეკერისა და სხვათა კვლევა ახდენს სანქციათა ოთხი მთავარი ტიპის იდენტიფიცირებას, ესენია: ფინანსური ჯარიმები, მშობლის უფლებებთან დაკავშირებული სანქციები, რომლებიც გავლენას ახდენს თავად მშობლის სტატუსზე, მაგალითად, მეურვეობის დაკარგვა. საგანმანათლებლო სანქციები, მაგალითად, ჩარიცხვაზე უარის თქმა. თავისუფლების სანქციები - პატიმრობა.¹¹ შესაბამისად, სავალდებულო ვაქცინაციაზე დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, სახელმწიფოებრივი პრაქტიკა აჩვენებს, რომ სახელმწიფოებს აქვთ ფართო დისკრეცია, თავიანთი შეხედულებისამებრ განსაზღვრონ სანქციის ტიპები.

2.COVID-19-ის სავალდებულო ვაქცინაციის დაწესებისას გასათვალისწინებელი კრიტერიუმები

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (შემდგომში - ჯანმო) შემუშავებული დოკუმენტი „COVID-19 და სავალდებულო ვაქცინაცია: ეთიკური მოსაზრებები და გაფრთხილებები“ COVID-19-ის სავალდებულო ვაქცინაციის დაწესების მიზანშეწონილობაზე მსჯელობისას გამოყოფს რამდენიმე კრიტერიუმს. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კრიტერიუმები მეტწილად მოიცავს ეთიკურ მოსაზრებებს, ვიდრე სამართლებრივ დანაწესებს, რიგი მათგანი ასევე მიემართება სწორედ იმ ტესტებს, რომლებიც უფლებებში ჩარევის კონტექსტში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერაა დადგენილი. COVID-19-ის

⁶ Fortunato D., Claudio D., Francesco M., Giovanni R., Stefania I., *The Law on Compulsory Vaccination in Italy: an Update 2 Years after the Introduction*, Euro Surveillance 2019, <<https://doi.org/10.2807/1560-7917.ES.2019.24.26.1900371>> [ბოლოს ნანახია: 09.05.2022].

⁷ Gravagna K., Becker A., Valeris-Chacin R., Mohammed I., Tambe S., Awan F., Toomey T. L., Basta N.E., *Global Assessment of National Mandatory Vaccination Policies and Consequences of Non-compliance*, 49:38 Vaccine 2020, 7868, <<https://doi.org/10.1016/j.vaccine.2020.09.063>> [ბოლოს ნანახია: 09.05.2022].

⁸ Bahr T., Klein N., Fischer H-T., Wieler L. H., Hanefeld J., El-Bcheraoui C., *Use and Acceptance of Mandatory COVID-19 Vaccinations in Selected Countries*, Report, COVID-19 Containment Measures Analysis, 8 Robert Koch Institute 2021, 11.

⁹ Attwell K. et al, *COVID-19 Vaccine Mandates: An Australian Attitudinal Study*, 2.

¹⁰ Ibid, 3.

¹¹ Gravagna et al, *Global Assessment of National Mandatory Vaccination Policies and Consequences of Non-compliance*, 7868.

სავალდებულო ვაქცინაციის დაწესებისას ჯანმო ექვს ძირითად კრიტერიუმს გამოყოფს:

1. აუცილებლობა და პროპორციულობა - ჯანმოს ეს პრინციპი წარმოადგენს სამართლებრივი ტესტის კონცეფციას, რომლის მიხედვითაც, სავალდებულო ვაქცინაცია განხილულ უნდა იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის არის აუცილებელი და პროპორციული საზოგადოებრივი ჯანდაცვის მნიშვნელოვანი მიზნის (სოციალურ-ეკონომიკური მიზნების ჩათვლით) მისაღწევად. თუკი საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიზანი (ჯოგური იმუნიტეტი, ყველაზე მეტად დაუცველთა დაცვა, ჯანდაცვის სისტემის შესაძლებლობებისა და რესურსების დაცვა) მიიღწევა უფრო ნაკლებად იძულებითი ჩარევით (მაგ., საჯარო განათლება), სავალდებულო ვაქცინაცია არ იქნება გამართლებული.¹²

2. ვაქცინის უსაფრთხოების საკმარისი მტკიცებულება - ჯანმოს მიდგომით, უნდა არსებობდეს მონაცემები, რომლებიც დაადასტურებს, რომ ვაქცინა უსაფრთხოა იმ პოპულაციაში, რომლისთვისაც ის სავალდებულო გახდა. როცა ამგვარი მონაცემები არ არსებობს, ან როცა ვაქცინის რისკი წონის ვაქცინაციის გარეშე არსებულ რისკს, სავალდებულო ვაქცინაცია ასევე არ იქნება გამართლებული.¹³

3. ვაქცინის ეფექტურობის საკმარისი მტკიცებულება - ამ კრიტერიუმის მიხედვით, ვაქცინა უნდა აჩვენებდეს, რომ მას აქვს საკმარისი ეფექტურობა საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიზნის მისაღწევად, მაგალითად, ვაქცინა ეფექტურია სერიოზული ინფექციის განვითარების ან გადაცემის პრევენციისთვის იმ პოპულაციაში, რომელშიც მისი სავალდებულოება იგეგმება. ამასთანავე, მას უნდა შეეძლოს არსებული კონკრეტული ლეგიტიმური მიზნის მიღწევა, რაც გულისხმობს იმას, რომ თუ ვაქცინაციის სავალდებულოება მიიჩნევა აუცილებლად ჰოსპიტალიზაციის პრევენციისა და ჯანდაცვის სისტემის ქმედუნარიანობის დაცვისთვის, მაშინ უნდა არსებობდეს კონკრეტული საკმარისი მტკიცებულება იმისა, რომ ვაქცინა ეფექტურია ჰოსპიტალიზაციის შემცირებისთვის.¹⁴

4. საკმარისი მარაგი - იმისთვის, რომ ვაქცინაციის ვალდებულება იყოს გონივრული, ავტორიზებული ვაქცინების მარაგი უნდა იყოს საკმარისი და საიმედო, უფასოდ ხელმისაწვდომი მათთვის, ვისთვისაც ის სავალდებულო გახდა. წინააღმდეგ

შემთხვევაში, აღნიშნული გამოიწვევს არათანაბარ მოპყრობას მათთვის, ვისაც დაუწესდა ვალდებულება, მაგრამ არ აქვს მასზე ხელმისაწვდომობა.¹⁵ ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია განვითარებადი ქვეყნების კონტექსტში, რომელთა უმეტესობასაც COVID-19-ის ვაქცინების მარაგთან დაკავშირებით გარკვეული პრობლემები აღენიშნებოდათ.

5. საზოგადოებრივი ნდობა - ხელისუფლებას აქვს ვალდებულება, ყურადღებით განსაზღვროს ის შედეგი, რაც სავალდებულო ვაქცინაციის შეიძლება ჰქონდეს საზოგადოებრივ ნდობაზე, კერძოდ, მეცნიერებასა და ზოგადად ვაქცინაციაზე.¹⁶ თუკი გაზიარებული იქნება მოცემულობა, რომ მსგავსი პოლიტიკის განხორციელება საფრთხის ქვეშ დააყენებს ზოგად საზოგადოებრივ ნდობას მოცემული საკითხების მიმართ, ეს შექმნის პრობლემებს არა კონკრეტული ვაქცინაციის მიმართულებით, არამედ ზოგადად ჯანდაცვის სფეროს სხვა მნიშვნელოვანი ზომების შესახებ.

6. გადაწყვეტილების მიღების ეთიკური პროცესები - ჯანმოს ბოლო კრიტერიუმის მიხედვით, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ორგანოების გამჭვირვალობა და ეტაპობრივი გადაწყვეტილებების მიღება უნდა იყოს ეთიკური ანალიზისა და სავალდებულო ვაქცინაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების აუცილებელი ელემენტები.¹⁷

სტატიის მიზნებისთვის, COVID-19-ის სავალდებულო ვაქცინაციის ლეგიტიმურობის დაწესების კუთხით, მოცემული თავის ფარგლებში განხილული იქნება COVID-19-ის სავალდებულო ვაქცინაციის დაწესების მე-2 და მე-3 პრინციპებთან შესაბამისობა, ვინაიდან მე-5 პრინციპი თავისი არსით მიემართება აღნიშნულ პრინციპებს. რაც შეეხება დანარჩენ კრიტერიუმებს, გამომდინარე იქიდან, რომ პირველი პრინციპი წარმოადგენს სამართლებრივ ტესტს, აღნიშნული განხილული იქნება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის კონტექსტში, მეოთხე კრიტერიუმთან მიმართებით კი დაშვებულია პრეზუმცია, რომ გადაწყვეტილების მიმღებ სახელმწიფოს აქვს ვაქცინაციის სათანადო მარაგი.

მიუხედავად იმისა, რომ ვაქცინაცია ფართოდ გავრცელებული პრევენციული სამედიცინო ინტერვენციაა, ზოგიერთ ადმინისტრირებას შესწევს უნარი, ცალკეულ შემთხვევებში გამოიწვიოს სერიოზული ზიანი. COVID-19-ის ვაქცინების კონტექსტში ერთ-ერთი ასეთი ზიანის რისკი ცალკეული ვაქცინების მხრიდან გახდა

¹² World Health Organization, *COVID-19 and Mandatory Vaccination: Ethical Considerations and Caveats: Policy Brief*, 1.

¹³ Ibid, 2.

¹⁴ Ibid.

¹⁵ Ibid.

¹⁶ Ibid.

¹⁷ Ibid, 3.

სისხლის შედეგება, რის გამოც, რიგმა სახელმწიფოებმა შეზღუდეს ამ კონკრეტული ვაქცინების გამოყენება.¹⁸ შესაბამისად, COVID-19-ის ყველა ვაქცინას არ შეუძლია ჯანმოს კრიტერიუმების გავლა, ვინაიდან არსებობს რისკი იმისა, რომ ისინი არ იყოს უსაფრთხო, თუმცა თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, არსებობს COVID-19-ის ისეთი ვაქცინები, რომლებსაც არავითარი მძიმე უკუგვერდები არ გამოუვლენია, რაც დადასტურებულია მაღალი დონის მარეგულირებლების შეფასების შედეგად, მაგალითად, FDA.¹⁹ შესაბამისად, COVID-19-ის სავალდებულო ვაქცინაციის დაწესების კონტექსტში, ეთიკურად გამართლებული იქნება მხოლოდ უსაფრთხოების მაღალი სტანდარტების უზრუნველყოფი ვაქცინების სავალდებულობა. რაც შეეხება ეფექტურობის მაჩვენებელს, COVID-19-ის იმუნიზაციის კონტექსტში საინტერესოა გერმანიის მაგალითის მიმოხილვა. გამოქვეყნებული კვლევის შედეგების თანახმად, 2021 წლის მარტის ლოქდაუნის დასრულების შემდეგ COVID-19-ის გამოვლენა ყველა ასაკობრივ ჯგუფში გაიზარდა. თუმცა, როცა გერმანიაში დაფიქსირდა ინფიცირების გამოვლენის თანმიმდევრული პიკი, მაღალი იმუნიზაციით დაფარულმა ასაკობრივმა ჯგუფებმა განიცადეს თანმიმდევრულად მცირე პიკები. მიუხედავად შესაბამისი ზრდისა მაღალი გამოვლინებადობის პერიოდში, 60 წელს ზემოთ მყოფ პირებს შორის, COVID-19-თან დაკავშირებული ჰოსპიტალიზაცია და სიკვდილიანობა საგრძნობლად შემცირდა იმუნიზაციის მატებასთან ერთად, მიუხედავად ვირუსის ვარიანტების ცირკულირებისა, რომლებიც ცნობილი იყო უფრო მძიმე ავადმყოფობის გამოწვევით.²⁰ შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია აკმაყოფილებს ეფექტურობის საკმარის

მტკიცებულებას. რაც შეეხება ყველაზე მნიშვნელოვან, აუცილებლობისა და პროპორციულობის საკითხს, აღნიშნული ქვემოთ იქნება შეფასებული.

3. სავალდებულო ვაქცინაციის დაწესება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ჩრჩილში

3.1. სავალდებულო ვაქცინაციის დაწესება კონვენციის მე-2 მუხლის კონტექსტში

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი (სიცოცხლის უფლება) ფარავს შემთხვევებს, რომლებიც მოიცავს როგორც ფატალურ შედეგებს, ისე სიტუაციებს, როცა სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება, მაშინაც კი, როცა სიკვდილი არ დამდგარა.²¹ ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ სიტუაციები, რომლებიც საფრთხეს უქმნის ჯანმრთელობას, მაგრამ არა სიცოცხლეს, თავსდება არა კონვენციის მე-2 მუხლში, არამედ მე-8 მუხლში,²² რომელიც ქვემოთ იქნება განხილული. მე-2 მუხლი აწესებს როგორც ნეგატიურ (სახელმწიფოს ვალდებულება, თავი შეიკავოს ლეტალური ქმედებებისგან), ისე პოზიტიურ ვალდებულებას (სახელმწიფოს ვალდებულება, დაიცვას სიცოცხლე),²³ რომელიც ეფუძნება რისკთან დაკავშირებულ სტანდარტს „იცოდა, ან უნდა სცოდნოდა“.²⁴ სახელმწიფოს ვალდებულება ასევე ვრცელდება ჯანდაცვის სფეროზე.²⁵ ნეგატიური ვალდებულების კონტექსტში უნდა აღინიშნოს ის, რომ ვაქცინაციის შესაძლო გვერდითი ეფექტები, რომლებიც საფრთხეს უქმნის ჯანმრთელობას, მაგრამ არ წარმოადგენს სიცოცხლისთვის სერიოზულ რისკს, არ ლახავს კონვენციის მე-2 მუხლის ზღვარს.²⁶ ნეგატიურ ვალდებულებაზე საუბარი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ვაქცინაცია იწვევს სიკვდილს, თუმცა ამ შემთხვევაშიც, *Association of Parents v the United Kingdom*-ის საქმეზე დადგენილი სტანდარტით, თუ სახელმწიფო ინარჩუნებს კონტროლისა და მონიტორინგის სისტემას, რომლის მიზანია

¹⁸ Katella K., *The Link Between J&J's COVID Vaccine and Blood Clots: What You Need to Know*, YaleMedicine, 6 May 2022,

<<https://www.yalemedicine.org/news/coronavirus-vaccine-blood-clots>> [ბოლოს ნანახია: 09.05.2022].

¹⁹ FDA News Release, *FDA Approves First COVID-19 Vaccine*, 23 August 2021, <<https://www.fda.gov/news-events/press-announcements/fda-approves-first-covid-19-vaccine>> [ბოლოს ნანახია: 10.05.2022].

²⁰ Perumal N., Steffen A., Ullrich A. et al., *Impact of COVID-19 Immunisation on COVID-19 Incidence, Hospitalisations, and Deaths by Age Group in Germany from December 2020 to October 2021*, 21:40 Vaccine 2022, 2910, <<https://doi.org/10.1016/j.vaccine.2022.04.002>> [ბოლოს ნანახია: 10.05.2022].

²¹ Schabas W., *The European Convention on Human Rights: A Commentary*, Oxford University Press, Oxford, 2015, 125.

²² Krasser, *Compulsory Vaccination in a Fundamental Rights Perspective: Lessons from the ECtHR*, 210.

²³ *LCB v the United Kingdom*, App no 23413/94 (ECtHR) 9 June 1998, 36.

²⁴ Ibid, 41.

²⁵ *Lopes de Sousa Fernandes v Portugal*, App no 56080/13 (ECtHR) 19 December 2017, 164-165.

²⁶ *Boffa et al v San Marino*, App no 26536/95 27 (Commission Decision) 15 January 1998, 33.

ვაქცინასთან დაკავშირებული გვერდითი მოვლენების მინიმუმამდე დაყვანა, ფატალური იზოლირებული შემთხვევები არ წარმოადგენს სიცოცხლის უფლებაში ჩარევას.²⁷ ლოგიკურია, რომ აქ მოიაზრება გაუთვალისწინებელი შემთხვევები.²⁸ შესაბამისად, სავალდებულო ვაქცინაცია არ წარმოადგენს კონვენციის მე-2 მუხლის ნეგატიური ვალდებულების დარღვევას. მეორე მხრივ, ისმის კითხვა, რამდენად შეიძლება სავალდებულო ვაქცინაცია გამართლებული იყოს მე-2 მუხლის პოზიტიური ვალდებულებით? როგორც ზემოთ *Lopes de Sousa Fernandes v Portugal*-ის საქმის დამოწმებისას იქნა აღნიშნული, მე-2 მუხლის ვალდებულება ვრცელდება ჯანდაცვის სფეროზეც. სასამართლო პრაქტიკით, იმისთვის, რომ სახელმწიფომ აირიდოს საფრთხე, მან უნდა მიიღოს დაცვითი რეგულაციები, მათ შორის, ისეთი, რომელიც ეხება ინფექციურ დაავადებებს, რადგან ინფექციური დაავადების უკონტროლო გავრცელება წარმოადგენს საფრთხეს მოსახლეობისათვის.²⁹

საერთაშორისო სამართლის მკვლევარის, ფრანჩესკა კამილიერის მოსაზრებით, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საგანგებო სიტუაციაში მე-2 მუხლის პოზიტიური ვალდებულება შეიძლება გამოიხატოს სავალდებულო ვაქცინაციის განსაზღვრაში იმ პირებისთვის, ვისაც მისი მიღება შეუძლია, რადგან მოხდეს ვირუსისგან ჯოგური იმუნიტეტის იმედად დარჩენილ პირთა დაცვა.³⁰ აქ მოიაზრებიან პირები, რომლებიც განეკუთვნებიან მაღალი რისკის ჯგუფებს, რომელთაც არ შეუძლიათ იყვნენ იმუნიზებულიები ქრონიკული დაავადების, მძიმე ალერგიების, ჩატარებული ქიმიოთერაპიის ან უსაფრთხო ვაქცინაციისთვის ძალიან პატარა ან ძალიან დიდი ასაკის გამო.³¹ თუკი არავაქცინირებულთა მიერ ჯოგური იმუნიტეტის საფრთხეში ჩაგდების აბსტრაქტული

საფრთხე გადაიქცევა კონკრეტულად, ეს დაკვალიფიცირდება, როგორც ჩარევა³² და ვინაიდან სახელმწიფოებს აქვთ მიხედულების თავისუფლება (ე.წ. margin of appreciation) ზომების მისაღებად,³³ სავალდებულო ვაქცინაციის დაწესება შესაძლოა, გამართლებულ იქნეს მე-2 მუხლის პოზიტიური ვალდებულების კონტექსტში.

3.2. სავალდებულო ვაქცინაციის დაწესება კონვენციის მე-8 მუხლის კონტექსტში

შესაძლებელია, რომ სავალდებულო ვაქცინაციის დაწესებამ ასევე წარმოშვას მე-9 და მე-14 მუხლთან დაკავშირებული საკითხები. მე-14 მუხლის კონტექსტში განსაკუთრებით საინტერესოა ის მოცემულობა, როდესაც ე.წ. ვაქცინაციის დამადასტურებელი პასპორტების გამოყენებით, არავაქცინირებულთათვის ხდება რიგ საკითხებზე უარის თქმა. თუმცა, სტატიის რეგლამენტიდან და იმ მოცემულობიდან გამომდინარე, რომ მე-14 მუხლი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში არასდროსაა ცალკე განხილული და განიხილება სხვა უფლებებთან მიმართებით, ასევე, ვინაიდან საქმეებში, სადაც განმცხადებლები სამედიცინო მკურნალობაზე უარს კონვენციის მე-9 მუხლთან შეუთავსებლობის მოტივით ამბობენ, მაგალითად, როგორიცაა *Pretty v the United Kingdom* - ის საქმე, სასამართლო მაინც უპირატესად მიიღებს გადაწყვეტილებას მე-8 მუხლის საფუძველზე, ვინაიდან დადგენილია, რომ ამ სიტუაციებში გავლენა უპირატესად პიროვნების ავტონომიასა და თვითგამორკვევაზე არის მოხდენილი.³⁴ აქედან გამომდინარე, საკითხის განხილვა და სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვაც მე-8 მუხლის კონტექსტში მოხდება.

„პირადი ცხოვრების“ ცნება არსებითად იცავს გადაწყვეტილების მიღების უფლებას საკუთარ სხეულთან და ცხოვრებასთან დაკავშირებით.³⁵ აღნიშნულში მოიაზრება ჯანმრთელობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებებიც.³⁶ პირის

²⁷ *Association of Parents v the United Kingdom* App no 7154/75 31 (Commission Decision) 12 July 1978, 33.

²⁸ Krasser, *Compulsory Vaccination in a Fundamental Rights Perspective: Lessons from the ECtHR*, 212.

²⁹ იხ. *Lopes de Sousa Fernandes v Portugal*, 165.

³⁰ Camilleri F., *Compulsory Vaccinations for Children: Balancing the Competing Human Rights at Stake*, 3:37 Netherlands Quarterly of Human Rights 2019, 245-267 მითითებულია Chia A., *Student Essay: Is Compulsory COVID-19 Vaccination a Violation of Human Rights?*, Health and Human Rights Journal, 13 July 2021, <https://www.hhrjournal.org/2021/07/student-essay-is-compulsory-covid-19-vaccination-a-violation-of-human-rights/#_edn22> [ბოლოს ნანახია: 20/05/2022].

³¹ Krasser, *Compulsory Vaccination in a Fundamental Rights Perspective: Lessons from the ECtHR*, 213.

³² Grabenwarter C., *European Convention on Human Rights: Commentary*, Munchen, C.H. Beck 2014, 19.

³³ European Court of Human Rights, *Guide on Art 2 of the European Convention on Human Rights: Right to Life*, 2021, 39.

³⁴ Murdoch J., *Protecting the Right to Freedom of Thought, Conscience and Religion under the European Convention on Human Rights*, Strasbourg, 2012, 73; *Pretty v the United Kingdom*, App no 42197/98 (ECtHR) 29 April 2002, 82.

³⁵ Grabenwarter, *European Convention on Human Rights: Commentary*, Art 8 para 7.

³⁶ *Pretty v the United Kingdom*, 61.

სურვილის წინააღმდეგ განხორციელებული სამედიცინო ინტერვენცია წარმოადგენს კონვენციის მე-8 მუხლში ჩარევას მაშინაც კი, თუ ეს ინტერვენცია უმნიშვნელო ინტენსივობისაა.³⁷ ამასთანავე, „პირად ცხოვრებას“ აქვს გარეგანი კომპონენტი, რომელიც მოიცავს ურთიერთობას სხვა ადამიანებსა და გარე სამყაროსთან.³⁸ გარე სამყაროსთან ურთიერთობის განვითარების ერთ-ერთი გზაა მუშაობა.³⁹ შესაბამისად, პროფესიაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა გავლენას ახდენს მე-8 მუხლზე.⁴⁰ სახელმწიფოს მიერ სავალდებულო ვაქცინაციის სექტორული დაწესება და პროფესიული საქმიანობის განხორციელების წინაპირობად იმუნიზაციის განსაზღვრა ასევე წარმოადგენს უფლებაში ჩარევას.⁴¹

სავალდებულო ვაქცინაციის შესახებ 2021 წელს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება გამოიტანა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ. დიდი პალატის 2021 წლის გადაწყვეტილება საქმეზე *Vavricka and Others v Czech Republic* ბავშვთა სავალდებულო ვაქცინაციას შეეხება. ჩეხეთის კანონმდებლობა მედიცინისთვის ცნობილი გადამდები დაავადებების წინააღმდეგ ბავშვების ვაქცინაციის ვალდებულებას აწესებს. მშობლები, რომლებიც, საგამონაკლისო მიზეზის გარეშე, ვერ შეასრულებენ ვალდებულებას, ექვემდებარებიან დაჯარიმებას, ხოლო არავაქცინირებული ბავშვები კი შესაძლოა არ მიიღონ სკოლამდელ დაწესებულებაში (გამონაკლისია მათზე, რომელთაც ჯანმრთელობის მიზეზების გამო, არ შეუძლიათ ვაქცინაცია). მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო დაეთანხმა განმცხადებელს იმასთან დაკავშირებით, რომ ამგვარი პოლიტიკა ერეოდა მათ პირად ცხოვრებაში (კონვენციის მე-8 მუხლი), სასამართლომ მსგავსი ჩარევა გამართლებულად ცნო. სასამართლომ შეაფასა, თუ რამდენად იყო მსგავსი მიდგომა კანონთან თანმიმდევრული, არსებობდა თუ არა ლეგიტიმური მიზანი და ასეთი პოლიტიკის გატარების აუცილებლობა

დემოკრატიულ საზოგადოებაში.⁴² სასამართლომ დაასკვნა, რომ კანონი არსებობდა ჯანმრთელობისთვის სერიოზული რისკის შემცველი დაავადებისგან მოქალაქეების დაცვის, ბავშვებში ვაქცინაციის მაჩვენებლის შემცირების არიდების და სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის პოზიტიური ვალდებულების მხარდაჭერისთვის.⁴³ სასამართლომ დაადგინა, რომ ჩარევა იყო დასახული მიზნის პროპორციული და არ არსებობდა ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტი.⁴⁴ ჩეხეთის სავალდებულო ვაქცინაციის პოლიტიკა იცავდა მას, ვინც იღებდა ვაქცინას და მასაც, ვინც ვერ იცრებოდა სამედიცინო მიზეზებით და სერიოზული გადამდები დაავადებების წინააღმდეგ თავის დასაცავად დამოკიდებული იყო ჯოგურ იმუნიტეტზე.

ამასთანავე, როგორც ვავრიჩკას საქმეზე იქნა დადგენილი, ვაქცინაციის ვალდებულება და მასთან დაკავშირებული შედეგები არ შეიძლება განცალკევებულ იქნეს.⁴⁵ შესაბამისად, მაშინაც კი, თუკი ვაქცინა პირის ნების საწინააღმდეგოდ არ ყოფილა ადმინისტრირებული, პირდაპირი უარყოფითი შედეგები, რომლებიც მომდინარეობს ვაქცინაციის ვალდებულების შეუსრულებლობისთვის, წარმოადგენს მე-8 მუხლში ჩარევას.⁴⁶ მიუხედავად ამისა, მე-8 მუხლი არ არის აბსოლუტური და ითვალისწინებს ჩარევის გამართლებას ვაქცინაციის შემთხვევაში, თუკი ჩარევა გათვალისწინებული იქნება კანონით და მიყვება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ლეგიტიმურ მიზანს.⁴⁷ ვავრიჩკას საქმეზე სასამართლოს გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, რომ სავალდებულო ვაქცინაცია არ არღვევს კონვენციის მე-8 მუხლს, გზას უხსნის მსგავსი ზომების დაწესებას COVID-19 პანდემიისგან საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიზნით, რამდენადაც ეს ზომა შეიძლება ჩაითვალოს საჭიროდ.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღიარებს სახელმწიფოთა მხრიდან მიხედულების თავისუფლებას (ე.წ. margin of appreciation) ვაქცინაციის აუცილებლობასთან, სანქციების

³⁷ *Boffa et al v San Marino*, 34.

³⁸ Schabas, *The European Convention on Human Rights: A commentary*, 369.

³⁹ Grabenwarter, *European Convention on Human Rights: Commentary*, Art 8 para 17.

⁴⁰ European Court of Human Rights, *Guide on Article 8 of the European Convention on Human Rights: Right to Respect for Private and Family Life, Home and Correspondence*, 2021, 92.

⁴¹ Krasser, *Compulsory Vaccination in a Fundamental Rights Perspective: Lessons from the ECtHR*, 218.

⁴² *Vavricka and Others v Czech Republic*, App no 47621/13 (ECtHR) 8 April 2021, 265.

⁴³ Ibid, 272, 284, 282.

⁴⁴ Ibid, 290-309, 311.

⁴⁵ Ibid, 259.

⁴⁶ Ibid, 263.

⁴⁷ Panagopoulou F., *Mandatory Vaccination during the Period of a Pandemic: Legal and Ethical Considerations in Europe*, 4: 29 BioTech 10, 2. <<https://doi.org/10.3390/biotech10040029>> [ბოლოს ნანახია: 10.05.2022].

გამოყენებასა და სანქციების დაწესებასთან დაკავშირებით. სასამართლომ დაადგინა, რომ ვაქცინაზე გაუმართლებელი უარის შემთხვევებში, მოგზაურობასა და გადაადგილებაზე შეზღუდვის, კარანტინის ან ჯარიმის დაკისრების მსგავსი სანქციები, დღევანდელი პრაქტიკის გათვალისწინებით, არ ჩანს ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან შეუთავსებელი.⁴⁸

აქედან გამომდინარე, სავალდებულო ვაქცინაცია თავსებადია კონვენციის მე-8 მუხლთან და შესაბამისად, წარმოადგენს აუცილებლობას დემოკრატიული საზოგადოებისთვის მაშინ, როცა ის გამართლებულია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის თვალსაზრისით და მიზნად ისახავს კონკრეტული ინფექციური დაავადებების გავრცელების პრევენციას.

3.3 COVID-19-თან დაკავშირებული საჩივრები ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში

COVID-19-ის სავალდებულო ვაქცინაციასთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საფრანგეთისა და საბერძნეთის წინააღმდეგ, 2021 წლის 24 აგვისტოსა და 2021 წლის 2 სექტემბერს საჩივრები მიიღო. პირველ შემთხვევაში საფრანგეთის სახადრო სამსახურის 672 თანამშრომელი მოითხოვდა სავალდებულო ვაქცინაციის განმსაზღვრელი კანონის მოქმედების შეჩერებას. პრობლემას წარმოადგენდა ის, რომ კანონის მითითებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, განმცხადებლები ვერ შეძლებდნენ პროფესიული მოვალეობის განხორციელებასა და ხელფასის მიღებას. მათ სასამართლოს მოსთხოვეს დროებითი ღონისძიების გამოყენება, რაზეც ევროპულმა სასამართლომ უარი განაცხადა.⁴⁹ სასამართლო მოთხოვნას დროებით ღონისძიებებზე აკმაყოფილებს მხოლოდ საგამონაკლისო საფუძველზე, როცა განმცხადებელი სხვაგვარად დაექვემდებარება შეუქცევადი ზიანის რეალურ

რისკს. ასევე საბერძნეთის შემთხვევაში, 30 სამედიცინო მუშაკი ასაჩივრებდა ჯანდაცვის სექტორის მუშაკებზე დაკისრებულ ვალდებულებას, მიეღოთ COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინა, რაც მათი სამსახურებრივი მოვალეობების გაგრძელების წინაპირობა იყო. მათ ასევე მოითხოვეს დროებითი ღონისძიების გამოყენება და კანონის გავრცელების შეჩერება. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მოთხოვნა დროებითი ღონისძიების გამოყენების შესახებ არც ამ შემთხვევაში დააკმაყოფილა.⁵⁰ სასამართლოს ამ საქმეებზე გადაწყვეტილება ჯერ არ გამოუტანია.

საერთაშორისო სამართლის ექსპერტი, ნანა მჭედლიძე თავის ბლოგში *“ბლოგი: სავალდებულო ვაქცინაცია ადამიანის უფლებებს არ არღვევს”* წერს: „იქიდან გამომდინარე, რომ ევროპულ სასამართლოს ყივანაზველას, დიფტერიის, პოლიომიელიტის და სხვა გადამდები დაავადებების წინააღმდეგ ვაქცინაციასთან დაკავშირებით არ დაუდგენია ევროპული კონვენციით გარანტირებული უფლებების დარღვევა, სრულიად თავისუფლად შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ კოვიდ-19-ით გამოწვეული პანდემიის პირობებში, სასამართლოს პოზიცია უცვლელი იქნება ვაქცინაციასთან დაკავშირებით იმ ვირუსის წინააღმდეგ, რომელმაც მსოფლიოს მასშტაბით მილიონობით სიცოცხლე შეიწირა. სასამართლო კვლავაც ყურადღებას გაამახვილებს საზოგადოების ყველა წევრის ჯანმრთელობის დაცვის ლეგიტიმურ მიზანზე, განსაკუთრებით, იმ პირებისა, რომლებიც ასაკის თუ სხვა გარემოებების გამო მოწყვლადები არიან და რომელთა დასაცავადაც მოსახლეობას, საზოგადოებრივი სოლიდარობიდან გამომდინარე, ეთხოვება, გასწიოს მინიმალური რისკი აცრის სახით.“⁵¹

4. UNESCO-ს უნივერსალური დეკლარაცია ბიოეთიკისა და ადამიანის უფლებების შესახებ და ევროპის საბჭოს ოგიედოს კონვენცია ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ

⁵⁰ ECtHR, *Press Release – Refusal of Requests for Interim Measures in Respect of the Greek Law on Compulsory Vaccination of Health-Sector Staff Against Covid-19*, 09 September 2021, <<https://t.co/MWt1POlnX4?amp=1>> [ბოლოს ნანახია: 20.05.2022].

⁵¹ მჭედლიძე ნ., *ბლოგი: სავალდებულო ვაქცინაცია ადამიანის უფლებებს არ არღვევს*, უფლებები საქართველო, 30 სექტემბერი 2021, <<https://rights.ge/ka/new/102?fbclid=IwAR0dTnwNZcydSUfQ5K37H8wBwfX9tCmqLbpXSPpiLu48DCeBmvIpi2b3LmaA>> [ბოლოს ნანახია: 20.05.2022].

⁴⁸ Sissilianos L., *The Pandemic, Fundamental Rights and Democracy – The Challenge of Vaccination*, Epidemics: A timeless Threat, a Challenge for Future, proceedings of the 1821–2021 Initiative Conference, Athens, 4 February 2021, <<https://ekyklos.gr/sb/800-transcription-pandemia-themelioidi-dikaionotakai-dimokratia-i-proklii-tou-emvoliasmy>> [ბოლოს ნანახია: 20.05.2022].

⁴⁹ ECtHR, *Press Release – Requests for Interim Measures from 672 Members of the French Fire Service Concerning the Law on the Management of the Public Health Crisis*, 25 August 2021, <<https://hudoc.echr.coe.int/fre-press?i=003-7100478-9611768>> [ბოლოს ნანახია: 20.05.2022].

განსაკუთრებით საინტერესოა 2005 წლის UNESCO-ს დეკლარაციის ანალიზი ბიოეთიკისა და ადამიანის უფლებების შესახებ.⁵² დეკლარაციის მე-6 მუხლი აქცენტს აკეთებს ნებისმიერი, მათ შორის, პრევენციული სამედიცინო ჩარევის განხორციელებისას პირის წინასწარ, თავისუფალ და ინფორმირებულ თანხმობაზე.⁵³ 2008 წელს საერთაშორისო ბიოეთიკის კომიტეტის (IBC) მიერ მიღებულ იქნა ანგარიში თანხმობის შესახებ, რომელიც იძლევა მე-6 მუხლის ინტერპრეტაციას. მოცემული ანგარიში შეზღუდვების რეგულირებისას რეფერირებას აკეთებს დეკლარაციის 27-ე მუხლზე და ეპიდემიის საფრთხეებისას უშვებს სავალდებულო ზომების შემოღებას. „*დღეს ასეთმა საფრთხეებმა შესაძლოა გამოიწვიოს იმუნიზაციის დაკვეთა მთელი მოსახლეობის ან მასში შემავალი კატეგორიებისთვის (მაგ., ჯანდაცვის სფეროში დასაქმებული პირები). გარდა ამისა, ეპიდემიური საფრთხის გარეშე, შესაძლოა, იმუნიზაციის სავალდებულოდ გამოცხადება გამართლებული იყოს მოსახლეობის საკმარისი დაფარვის უზრუნველყოფით*“.⁵⁴ შესაბამისად, ანგარიში შესაძლებლად მიიჩნევს სავალდებულო ვაქცინაციის დაწესებას, მაგრამ აუცილებლად UNESCO-ს დეკლარაციის 27-ე მუხლით გათვალისწინებული პრინციპების საზღვრებში.⁵⁵ 27-ე მუხლის თანახმად, ნებისმიერი შეზღუდვა დაწესებული უნდა იქნეს კანონით, რომელიც შეესაბამება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალს.⁵⁶ მიუხედავად იმისა, რომ UNESCO-ს დეკლარაცია მხოლოდ არ არის, ის დღემდე რჩება მნიშვნელოვან სახელმძღვანელო დოკუმენტად ჯანდაცვის სექტორში ეროვნული პოლიტიკის გასატარებლად, რისი დასტურია ისიც, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მოთხოვნით,

აღნიშნული დეკლარაცია აკლამაციით იქნა მიღებული.⁵⁷

რაც შეეხება მხოლოდ დამოუკიდებელ საერთაშორისო ხელშეკრულებას, ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია ევროპის საბჭოს ეგიდით მიღებული ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ 1997 წლის ოვიდოს კონვენციის განხილვა. კონვენცია მხოლოდ ხელშეკრული ევროპული ქვეყნებისთვის, მათ შორის, საქართველოსთვის. აღნიშნული კონვენცია მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მისი მე-5 მუხლი ხაზს უსვამს პირის მიერ თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობის მიცემის აუცილებლობას ჯანდაცვის სფეროში ნებისმიერ ინტერვენციაზე.⁵⁸

კონვენციის განმარტებითი ანგარიშის თანახმად, არავინ არ შეიძლება აიძულოს დაექვემდებაროს ინტერვენციას თავისივე თანხმობის გარეშე. ანგარიშში საუბარია ნებისმიერ ინტერვენციაზე. თავად სიტყვა ინტერვენცია გაგებული უნდა იქნეს ფართო მნიშვნელობით, რათა მოიცვას ყველა სამედიცინო აქტი, რომელიც ხორციელდება როგორც პრევენციის, ისე დიაგნოსტიკის, მკურნალობის, რეაბილიტაციისა და კვლევის მიზნით.⁵⁹ თანხმობა კი მიიჩნევა თავისუფალ და ინფორმირებულად, თუ ის მიცემულია პასუხისმგებელი ჯანდაცვის სპეციალისტისგან გეგმიური ინტერვენციის ხასიათისა და პოტენციური შედეგების, ან მისი ალტერნატივების შესახებ მიწოდებული ობიექტური ინფორმაციის საფუძველზე და ყოველგვარი ზეწოლის გარეშე.⁶⁰ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ *M.A.K. and R.K. v United Kingdom*-ის საქმეში დადასტურებულია, რომ ოვიდოს კონვენციის ქვეშ

⁵⁷ Acosta, *Vaccines, Informed Consent, Effective Remedy and Integral Reparation: an International Human Rights Perspective*, 28.

⁵⁸ Council of Europe, *Convention for the protection of Human Rights and Dignity of the Human Being with regard to the Application of Biology and Medicine: Convention on Human Rights and Biomedicine* (ETS No. 164), 4 April 1997, Art. 5, <<https://www.coe.int/en/web/conventions/full-list?module=treaty-detail&treatynum=164>> [ბოლოს ნანახია: 20.05.2022].

⁵⁹ Council of Europe, *Explanatory Report to the Convention for the Protection of Human Rights and Dignity of the Human Being with Regard to the Application of Biology and Medicine: Convention on Human Rights and Biomedicine*, European Treaty Series - No. 164, 34, <<https://rm.coe.int/1680a8e4d0>> [ბოლოს ნანახია: 20.05.2022].

⁶⁰ Ibid, 35.

⁵² UNESCO, *Universal Declaration on Bioethics and Human Rights*, 19 October 2005, <http://portal.unesco.org/en/ev.php-URL_ID=31058&URL_DO=DO_TOPIC&URL_SECTION=201.html> [ბოლოს ნანახია: 20.05.2022].

⁵³ Ibid, Art. 6.

⁵⁴ International Bioethics Committee, *Report on Consent*, SHS/EST/CIB08-09/2008/1, Paris, 2008, <<https://ethics.iarc.who.int/guidelines-and-useful-links/ibc-consent.pdf>> [ბოლოს ნანახია: 20.05.2022].

⁵⁵ Acosta J., *Vaccines, Informed Consent, Effective Remedy and Integral Reparation: an International Human Rights Perspective*, 131 Universitas 2015, 27.

⁵⁶ იხილეთ Universal Declaration on Bioethics and Human Rights, Art. 27.

ინფორმირებული თანხმობა საჭიროა ნებისმიერი სამედიცინო ინტერვენციისას.⁶¹

როგორც ზემოთ ითქვა, საერთაშორისო სტანდარტები მოითხოვს ნებისმიერი სამედიცინო ჩარევის, მათ შორის, პრევენციული ვაქცინაციის შემთხვევაში წინასწარ ინფორმირებულ თანხმობას. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სავალდებულო ვაქცინაციის დაწესება აკრძალულია ოვიდოს კონვენციით. აღნიშნული მოწესრიგება ამყარებს ნაშრომში გამოთქმულ თეზას, იმის თაობაზე, რომ სავალდებულო ვაქცინაციამ არ შეიძლება მოიცვას ვაქცინის ძალის გამოყენებით ადმინისტრირება და ის აღსრულებული უნდა იქნეს მხოლოდ დაუმორჩილებლობის შემთხვევაში დაწესებული სანქციებით.

5. აშშ-ის უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა და საქართველოს საკანონმდებლო მოწესრიგება

სამართლებრივად აშშ-ში სავალდებულო ვაქცინაციის საკითხი უზენაესი სასამართლოს მიერ ჯერ კიდევ 1905 წელს Jacobson v. Massachusetts-ის საქმეში გადაწყდა, როცა სასამართლომ ჩუტყვავილას სავალდებულო ვაქცინაცია კონსტიტუციურად მიიჩნია. სასამართლომ დაადგინა, რომ ინდივიდის თავისუფლების უფლება სერიოზული საფრთხის ფონზე შესაძლოა დაექვემდებაროს შეზღუდვას ნებისმიერ მოწესრიგებულ საზოგადოებაში, რომელსაც მისი წევრების უსაფრთხოების შენარჩუნების ვალდებულება აკისრია. მსგავსი შეზღუდვა უნდა იყოს აღსრულებული ისეთი გონივრული რეგულაციებით, როგორსაც ზოგადი საზოგადოების უსაფრთხოება მოითხოვს.⁶²

არანაკლებ საინტერესოა ქართული კანონმდებლობის ანალიზიც. აღსანიშნავია, რომ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის რეკომენდაციას, გარკვეული პროფესიების წარმომადგენლების, კერძოდ, მედიცინის მუშაკებისა და მასწავლებლების COVID-19-ის საწინააღმდეგო სავალდებულო ვაქცინაციასთან დაკავშირებით, არ ეთანხმებოდნენ ჯანდაცვის სამინისტროში. მინისტრის მოადგილის, თამარ გაბუნias განცხადებით, „სავალდებულო ვაქცინაცია პირდაპირი გზით პაციენტის შესახებ უფლებების კანონს ეწინააღმდეგება, რადგან სამედიცინო ინტერვენცია შეიძლება შესრულდეს მხოლოდ პაციენტის ნებართვით და

გადაწყვეტილებით.“⁶³ მიუხედავად ამისა, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ კანონის მე-5 მუხლის თანახმად, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოსახლეობის უფლება-მოვალეობებზე საუბრისას ნათქვამია, რომ „საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა ადამიანი ვალდებულია: ბ) გადამდები დაავადებების აღმოცენებისა და გავრცელების საშიშროების შემთხვევაში, კომპეტენტური ორგანოების მოთხოვნით, ჩაიტაროს ყველა სამედიცინო პროცედურა, რომელიც აუცილებელია სხვა პირის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საფრთხის თავიდან ასაცილებლად; ვ) სამედიცინო უკუჩვენებების არარსებობის შემთხვევაში ჩაიტაროს ვაქცინაცია გადამდები დაავადებების აფეთქების ან ფართოდ გავრცელების, ანდა ეპიდემიის დაწყების საშიშროებისას“.⁶⁴ შესაბამისად, ამ მუხლის ანალიზის შედეგად საფიქრებელია, რომ კანონის დანაწესი „ვალდებულია“ ცალსახად მიუთითებს იმას, რომ სავალდებულო ვაქცინაცია, რომელიც შესაძლოა დაკავშირებული იყოს როგორც პრევენციასთან, ისე სხვა პირთა დაცვასთან ქართული კანონმდებლობით დასაშვებია. აღსანიშნავია ისიც, რომ ქართული კანონმდებლობა იცნობს უკუჩვენებების არსებობისას ვაქცინაციაზე უარის თქმის შესაძლებლობას.

6. პროპორციულობის დადგენა სავალდებულო ვაქცინაციის დაწესებისას

სავალდებულო ვაქცინაციის დაწესებისას თავდაპირველად უნდა მოხდეს იმის გამოკვლევა, სავალდებულო ვაქცინაციის ზომა შესაფერისია თუ არა პანდემიის საპასუხოდ. შემდეგ უნდა შეფასდეს, მოცემული ზომა არის თუ არა აუცილებელი. აქ განიხილება სხვა, უფრო მსუბუქი, მაგრამ თანაბრად ეფექტური ზომების ხელმისაწვდომობა. მაგალითად, ვაქცინაციის შესახებ საინფორმაციო კამპანია, ვინაიდან კვლევები აჩვენებს, რომ ჯოგური იმუნიტეტის სარგებელზე კომუნიკაციისას მონაწილეებმა გამოავლინეს

⁶³ გაბუნias თქმით, სავალდებულო ვაქცინაცია უფლებების დარღვევაა, გამყრელიძე არ ეთანხმება, ფორმულა, 5 ოქტომბერი 2021, <<https://formulanews.ge/News/57850>> [ბოლოს ნანახია: 20.05.2022].

⁶⁴ საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ, 27/06/2007, მუხლი 5, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/21784?publication=38>> [ბოლოს ნანახია: 20.05.2022].

⁶¹ M.A.K. and R.K. v. United Kingdom, App no 45901/05 and 40146/06 (ECtHR) 23 March 2010, 77.

⁶² Jacobson v Massachusetts, 197 US 11, 25 S Ct 358, 1905.

ვაქცინაციის უფრო მაღალი ალბათობა.⁶⁵ მაშასადამე, აუცილებლობის თვალსაზრისით, იმპერატიულია საინფორმაციო კამპანიის ჩატარება, ვინაიდან სავალდებულო ვაქცინაციის შემოღება მოითხოვს ვაქცინაციაზე ხალხის დარწმუნების მცდელობის ამოწურვას. მხოლოდ მაშინ, როცა აღნიშნული შედეგს ვერ გამოიღებს, შეიძლება სავალდებულო ვაქცინაციაზე ფიქრი. შესაბამისად, მოსახლეობის უდიდესი ნაწილის ნებაყოფლობითი ვაქცინაციის შემთხვევაში და ჯოგური იმუნიტეტის საკმარისი პროცენტულობის მიღწევის შემდეგ, მთელი მოსახლეობისთვის სავალდებულო ვაქცინაციის დაწესების საკითხი არ მიიჩნევა აუცილებელ ზომად.⁶⁶ ამასთანავე, მთელი მოსახლეობის მასობრივი სავალდებულო ვაქცინაციის დაწესებაზე უფრო მსუბუქი ზომაა წერტილოვანი სავალდებულო ვაქცინაცია კონკრეტული ჯგუფებისთვის, მაგალითად, ჯანდაცვის მუშაკები, განათლების სექტორის თანამშრომლები, ბანაკებში მომუშავე ადამიანები, ან საქმიანობის გარკვეულ სექტორებში დასაქმებული საკვანძო პერსონალი, როგორებიცაა პოლიციის ოფიცრები და მეხანძრეები.⁶⁷ რაც შეეხება სხვა სამართლებრივ შედეგებს, როგორებიცაა წვდომის შეზღუდვა ხალხმრავალ ადგილებზე, საზოგადოებრივ ტრანსპორტზე, კულტურულ დაწესებულებებსა თუ სხვა, ეს ყველაფერი უნდა იქნას გამოკვლეული აუცილებლობის კომპონენტის ქვეშ. თუკი უარყოფით, მაგალითად, სწრაფი ტესტის პასუხს შეუძლია იყოს ვაქცინაციის პასპორტის თანაბარეფექტური, ამ შემთხვევაში ალტერნატივის გარეშე, სავალდებულო ვაქცინაციის მოთხოვნა მწვანე პასპორტის კონტექსტში არ იქნება გამართლებული. ასევე საზოგადოებრივი ტრანსპორტის აკრძალვას სამეცნიერო წრეებში მიიჩნევენ არაკონსტიტუციურად, ვინაიდან ამ შემთხვევაში პირი ვერ შეძლებს სამსახურში, ოჯახის წევრებისა და მეგობრების სანახავად გადაადგილებას, რაც გამოიწვევს სოციალური მისი სრულ განცალკევებას.⁶⁸

⁶⁵ Sprengholz P., Betsch C., *Herd Immunity Communication Counters Detrimental Effects of Selective Vaccination Mandates: Experimental Evidence*, 22 *EClinicalMedicine* 2020, <<https://doi.org/10.1016/j.eclinm.2020.100352>> [ბოლოს ნანახია: 20.05.2022].

⁶⁶ Panagopoulou, *Mandatory Vaccination during the Period of a Pandemic: Legal and Ethical Considerations in Europe*, 6.

⁶⁷ Ibid.

⁶⁸ Ibid.

დასკვნა

იმისათვის, რომ სავალდებულო ვაქცინაცია გამართლებული იყოს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ჭრილში, ის უნდა ემსახუროდეს საჯარო ინტერესს, ჯანმოს კრიტერიუმების მიხედვით, არ უნდა მოხდეს მისი ფიზიკური ადმინისტრირება, თუმცა შესაძლოა დაკავშირებული იყოს რიგ ადმინისტრაციულ სანქციებთან. ასევე, სავალდებულო ვაქცინაციის დაწესება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ ის ხელმისაწვდომია და საკმარის მტკიცებულებებზე დაყრდნობით, უსაფრთხოა მოსახლეობისთვის. მკვლევარი ფერენიკი პანაგოპულო ასახელებს სავალდებულო ვაქცინაციისთვის აუცილებელ ე.წ. „ჩეკ-ლისტს“, რომელსაც წინამდებარე სტატიის ავტორიც სრულად იზიარებს. პანაგოპულოს დადგენილი პირობების თანახმად: (i) პროპორციულობის პრინციპი აუცილებლად უნდა იქნეს დაცული და სავალდებულო ვაქცინაცია უნდა იყოს გადაწყვეტის საბოლოო ზომა, ყველა შედარებით მსუბუქი, მათ შორის, საინფორმაციო ზომის ამოწურვის შემდეგ; (ii) სავალდებულო ვაქცინაცია დადგენილი უნდა იყოს კანონით; (iii) დაწესებულ უნდა იქნეს მხოლოდ ობიექტურ პირობებში ჩატარებული დასაბუთებული სამედიცინო ანალიზის შემდეგ; (iv) უნდა იყოს დროებით განსაზღვრული პანდემიის ხანმოკლე პერიოდისთვის; (v) არ უნდა იყოს დაკავშირებული ძალის გამოყენებასთან; (vi) მისი ბუნება, სანქციაზე მეტად, ძირითადად წამახალისებელი უნდა იყოს; (vii) წინ უნდა უძღოდეს მოსახლეობისთვის დეტალური ინფორმაციის მიწოდება, ყოველგვარი გაუგებრობისა და დეზინფორმაციის თავიდან აცილების მცდელობა; (viii) უნდა არსებობდეს ვაქცინების ხელმისაწვდომობა და (ix) გამოწვევის სამედიცინო მიზეზების შემთხვევაში.⁶⁹

შესაბამისად, სექტორული ვაქცინაციის დაწესებაც არ არღვევს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალს. აღნიშნული უნდა ემყარებოდეს ორ წინაპირობას: სამუშაოს ბუნებასა და ვაქცინის უსაფრთხოებას.⁷⁰

ამასთანავე, თუკი პოპულაციაში (საზოგადოებაში ან თუნდაც სექტორულ ჯგუფებში) ანტისხეულების გამოუმუშავების შედეგად მიღწეულია ჯოგური იმუნიტეტის წილი, არ იარსებებს სავალდებულო

⁶⁹ Ibid, 12.

⁷⁰ Papaspiro N., *Vaccination and Professional Responsibility*, Constitutionalism, 25 May 2021, <<https://www.constitutionalism.gr/2021-05-25-papasprou-emvoliasmos/>> [ბოლოს ნანახია 20.05.2022].

ვაქცინაციის დაწესების აუცილებლობა, ვინაიდან სამეცნიერო მტკიცებულებები აჩვენებს, რომ გამოჯანმრთელებული პირები ანტისხეულთა ადეკვატური დონით უფრო მეტად არიან რეინფიცირებისგან დაცულნი, ვიდრე ვაქცინირებულები.⁷¹ ამის მიუხედავად, როგორც სტატიაში გამოჩნდა, სავალდებულო ვაქცინაცია შესაბამისი წინაპირობების დაცვისა და გათვალისწინების შემთხვევაში, არ არღვევს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალს.

ბიბლიოგრაფია

1. საქართველოს პარლამენტი, *საქართველოს კანონი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ*, 27/06/2007, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/21784?publication=38>> [ბოლოს ნანახია: 20.05.2022].
2. მჭედლიძე ნ., *ბლოგი: სავალდებულო ვაქცინაცია ადამიანის უფლებებს არ არღვევს*, უფლებები საქართველო, 30 სექტემბერი 2021, <<https://rights.ge/ka/new/1027fbclid=IwAR0dTnwNZcydSUfQ5K37H8wBwfX9tCmqLbpXSPpiLu48DCeBmvIpi2b3LmA>> [ბოლოს ნანახია: 20.05.2022].
3. *გაბუნია თქმით, სავალდებულო ვაქცინაცია უფლებების დარღვევაა, გამყრელიძე არ ეთანხმება*, ფორმულა, 5 ოქტომბერი 2021, <<https://formulanews.ge/News/57850>> [ბოლოს ნანახია: 20.05.2022].
4. Grabenwarter, C., *European Convention on Human Rights: Commentary*, Munchen, C.H. Beck, 2014.
5. Murdoch, J., *Protecting the Right to Freedom of Thought, Conscience and Religion under the European Convention on Human Rights*, Strasbourg, 2012.
6. Schabas, W., *The European Convention on Human Rights: A Commentary*, Oxford University Press, Oxford, 2015.
7. Acosta J., *Vaccines, Informed Consent, Effective Remedy and Integral Reparation: an International Human Rights Perspective*, 131 Universitas, 2015, 19-64.
8. Attwell K., Rizzi M, McKenzie L., J Carlson S., Roberts L., Tomkinson S., Blyth C, *COVID-19 Vaccine Mandates: An Australian Attitudinal Study*, Vaccine 2021, <<https://doi.org/10.1016/j.vaccine.2021.11.056>> [ბოლოს ნანახია: 09.05.2022].
9. Bahr, T, et al, *Use and Acceptance of Mandatory COVID-19 Vaccinations in Selected Countries*, Report, COVID-19 Containment Measures Analysis, 8 Robert Koch Institute 2021.
10. Camilleri F., *Compulsory Vaccinations for Children: Balancing the Competing Human Rights at Stake*, 3:37 Netherlands Quarterly of Human Rights 2019, 245-267.
11. Cassimos, DC et al, *Vaccination Programs for Adults in Europe, 2019*, 8(1):34 Vaccines 2020, <<https://www.mdpi.com/2076-393X/8/1/34/htm>> [ბოლოს ნანახია: 09.05.2022].
12. Chia A., *Student Essay: Is Compulsory COVID-19 Vaccination a Violation of Human Rights?*, Health and Human Rights Journal, 13 July 2021, <https://www.hhrjournal.org/2021/07/student-essay-is-compulsory-covid-19-vaccination-a-violation-of-human-rights/#_edn22> [ბოლოს ნანახია: 20/05/2022].
13. Fortunato, D. et al, *The Law on Compulsory Vaccination in Italy: an Update 2 Years after the Introduction*, Euro Surveillance 2019, <<https://doi.org/10.2807/1560-7917.ES.2019.24.26.1900371>> [ბოლოს ნანახია: 09.05.2022].
14. Gravagna, K. et al, *Global Assessment of National Mandatory Vaccination Policies and Consequences of Non-compliance*, 49:38 Vaccine 2020, 7865-7873, <<https://doi.org/10.1016/j.vaccine.2020.09.063>> [ბოლოს ნანახია: 09.05.2022].
15. Kojima N., Klausner JD, *Protective Immunity after Recovery from SARS-CoV-2 Infection*, 22:12-14 Lancet Infect Diseases, <[https://doi.org/10.1016/S1473-3099\(21\)00676-9](https://doi.org/10.1016/S1473-3099(21)00676-9)> [ბოლოს ნანახია 20.05.2022].
16. Krasser A., *Compulsory Vaccination in a Fundamental Rights Perspective: Lessons from the ECtHR*, 2:15 ICL Journal 2021, 207-233.
17. Panagopoulou F., *Mandatory Vaccination during the Period of a Pandemic: Legal and Ethical Considerations in Europe*, 4: 29 BioTech 10, 1-14. <<https://doi.org/10.3390/biotech10040029>> [ბოლოს ნანახია: 10.05.2022].
18. Papaspiropoulos N., *Vaccination and Professional Responsibility*, Constitutionalism, 25 May 2021, <<https://www.constitutionalism.gr/2021-05-25-papaspiropoulos-emvoliasmos/>> [ბოლოს ნანახია 20.05.2022].
19. Perumal, N. et al., *Impact of COVID-19 Immunisation on COVID-19 Incidence, Hospitalisations, and Deaths by Age Group in Germany from December 2020 to October 2021*, 21:40 Vaccine 2022, 2910-2914,

⁷¹ Kojima N., Klausner JD, *Protective Immunity after Recovery from SARS-CoV-2 Infection*, 22:12-14 Lancet Infect Diseases, <[https://doi.org/10.1016/S1473-3099\(21\)00676-9](https://doi.org/10.1016/S1473-3099(21)00676-9)> [ბოლოს ნანახია 20.05.2022].

- <<https://doi.org/10.1016/j.vaccine.2022.04.002>> [ბოლოს წაწახი: 10.05.2022].
20. Sissilianos L., *The Pandemic, Fundamental Rights and Democracy – The Challenge of Vaccination*, Epidemics: A timeless Threat, a Challenge for Future, proceedings of the 1821–2021 Initiative Conference, Athens, 4 February 2021, <<https://ekyklos.gr/sb/800-transcription-pandimia-themelioti-dikaionotatai-dimokratia-i-proklisi-tou-emvoliasmoi>> [ბოლოს წაწახი: 20.05.2022].
 21. Sprengholz P., Betsch C., *Herd Immunity Communication Counters Detrimental Effects of Selective Vaccination Mandates: Experimental Evidence*, 22 *EClinicalMedicine* 2020, <<https://doi.org/10.1016/j.eclinm.2020.100352>> [ბოლოს წაწახი: 20.05.2022].
 22. *Vavricka and Others v Czech Republic*, App no 47621/13 (ECtHR) 8 April 2021, 259, 263, 265, 272, 282, 284, 290-309, 311.
 23. *Lopes de Sousa Fernandes v Portugal*, App no 56080/13 (ECtHR) 19 December 2017, 164-165.
 24. *Pretty v the United Kingdom*, App no 42197/98 (ECtHR) 29 April 2002, 82.
 25. *LCB v the United Kingdom*, App no 23413/94 (ECtHR) 9 June 1998, 36, 41.
 26. *M.A.K. and R.K. v. United Kingdom*, App no 45901/05 and 40146/06 (ECtHR) 23 March 2010, 77.
 27. *Boffa et al v San Marino*, App no 26536/95 27 (Commission Decision) 15 January 1998, 33.
 28. *Association of Parents v the United Kingdom*, App no 7154/75 31 (Commission Decision) 12 July 1978, 33.
 29. *Jacobson v Massachusetts*, 197 US 11, 25 S Ct 358, 1905.
 30. UNESCO, *Universal Declaration on Bioethics and Human Rights*, 19 October 2005, <http://portal.unesco.org/en/ev.php-URL_ID=31058&URL_DO=DO_TOPIC&URL_SECTION=201.html> [ბოლოს წაწახი: 20.05.2022].
 31. Council of Europe, *Convention for the protection of Human Rights and Dignity of the Human Being with regard to the Application of Biology and Medicine: Convention on Human Rights and Biomedicine* (ETS No. 164), 4 April 1997, <<https://www.coe.int/en/web/conventions/full-list?module=treaty-detail&treatyid=164>> [ბოლოს წაწახი: 20.05.2022].
 32. Council of Europe, *Explanatory Report to the Convention for the Protection of Human Rights and Dignity of the Human Being with regard to the Application of Biology and Medicine: Convention on Human Rights and Biomedicine*, European Treaty Series - No. 164, <<https://rm.coe.int/1680a8e4d0>> [ბოლოს წაწახი: 20.05.2022].
 33. European Court of Human Rights, *Guide on Art 2 of the European Convention on Human Rights: Right to Life*, 2021.
 34. European Court of Human Rights, *Guide on Article 8 of the European Convention on Human Rights: Right to Respect for Private and Family Life, Home and Correspondence*, 2021.
 35. ECtHR, *Press Release – Refusal of Requests for Interim Measures in Respect of the Greek Law on Compulsory Vaccination of Health-Sector Staff Against Covid-19*, 09 September 2021, <<https://t.co/MWtIPOlnX4?amp=1>> [ბოლოს წაწახი: 20.05.2022].
 36. ECtHR, *Press Release – Requests for Interim Measures from 672 Members of the French Fire Service Concerning the Law on the Management of the Public Health Crisis*, 25 August 2021, <<https://hudoc.echr.coe.int/fre-press?i=003-7100478-9611768>> [ბოლოს წაწახი: 20.05.2022].
 37. International Bioethics Committee, *Report on Consent*, SHS/EST/CIB08-09/2008/1, Paris, 2008, <<https://ethics.iarc.who.int/guidelines-and-useful-links/ibc-consent.pdf>> [ბოლოს წაწახი: 20.05.2022].
 38. World Health Organization, *COVID-19 and Mandatory Vaccination: Ethical Considerations and Caveats: Policy Brief*, 13 April 2021, <<https://apps.who.int/iris/handle/10665/340841>> [ბოლოს წაწახი: 09.05.2022].
 39. FDA News Release, *FDA Approves First COVID-19 Vaccine*, 23 August 2021, <<https://www.fda.gov/news-events/press-announcements/fda-approves-first-covid-19-vaccine>> [ბოლოს წაწახი: 10.05.2022].
 40. Katella K., *The Link Between J&J's COVID Vaccine and Blood Clots: What You Need to Know*, YaleMedicine, 6 May 2022, <<https://www.yalemedicine.org/news/coronavirus-vaccine-blood-clots>> [ბოლოს წაწახი: 09.05.2022].